

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

აკადემიური საბჭო

დადგენილება № 114

(29. 05. 2009 წ.)

მოწვეული სპეციალისტების (პროფესორების) მიღების წესების შესახებ.
„უმაღლესი განადგების შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე
(მუხლი 40, პ. 6.)

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო ადგენს:

1. კონკურსის წესით აკადემიური თანამდებობების დაკავების გარეშე სასწავლო პროცესში მონაწილეობის ან/და ამ პროცესის წარმართვის მიზნით, აკადემიური საბჭო ინდივიდუალური განხილვის საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებას შესაბამისი კვალიფიკაციის სპეციალისტის სრულ ან ნახევარ განაკვეთზე მოწვეული პროფესორის თანამდებობაზე მიღების შესახებ;
2. მოწვეულ პროფესორთან ფორმდება შესაბამისი კონტრაქტი;
3. მოწვეული პროფესორის თვიური სახელფასო ანაზღაურების ოდენობას განსაზღვრავს აკადემიური საბჭო და ამტკიცებს წარმომადგენლობითი საბჭო.

ორი ნიხრი: ასოცირებული პროფესორის ხელფასის ტოლი;

სრული პროფესორის ხელფასის ტოლი.

აქვე, მასწავლებლის და უფროსი მასწავლებლის ხელფასის შესახებ,
აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:

1. მასწავლებლის და უფროსი მასწავლებლის თვიური სახელფასო ანაზღაურების ოდენობას განსაზღვრავს აკადემიური საბჭო და ამტკიცებს წარმომადგენლობითი საბჭო,

უფროსი მასწავლებელი: დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე-ასოცირებული პროფესორის ხელფასის 85%;

დოქტორის აკადემიური ხარისხის არ მქონე – ასისტენტ პროფესორის ხელფასის ტოლი;

მასწავლებელი – ასისტენტ პროფესორის ხელფასის 85%.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე,

პროფესორი

(ა. ფრანგიშვილი)

აკადემიური საბჭოს მდივანი,

პროფესორი

(გ. სალუქვაძე)